კოვიდ-19-ის პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მასალა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის მინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4
შესავალი 5
სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფა 5
სასტუმრო 6
კვება 8
ტრანსპორტირება 9
სამედიცინო მოწყობილობები 10
უსაფრთხოების დაცვა 10
სამედიცინო პროდუქცია 11
“საწოლფონდის” მობილიზება 13
დასკვნა 16
რეკომენდაციები 17

ძირითადი მიგნებები

- ✓ 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, სასტუმროებისა და კლინიკების მომსახურების შესყიდვებში **200 მლნ ლარამდე დაიხარჯა.**

- ✓ 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფისათვის საჭირო პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ **78 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა**.

- ✓ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ნოემბერის განკარგულებით, **ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით გამოეყო 35 მილიონი ლარის რესურსი**, **რაც უკვე დახარჯულ თანხასთან ერთად 100 მლნ ლარს აჭარბებს.** დამატებითი რესურსით უნდა გაგრძელდეს კოვიდ სასტუმროების მობილიზება და ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა.

- ✓ კლინიკებში დამატებითი საწოლების მობილიზების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოსაგან, ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, ჯამში **98.5 მილიონი ლარის** ღირებულების ხელშეკრულების შეთანხმება მოითხოვა.

- ✓ საკარანტინე/საველე სივრცეებში მედპერსონალის უზრუნველსაყოფად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ **625,537 ლარი შეადგინა. მხოლოდ ნოემბერში კი დამატებით 300,000 ლარამდე ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა.**

- ✓ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ ხდება ცალკე Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების გამოყოფა და მათი შესაბამისი ანალიზი, რისი მაგალითებიც მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში გვაქვს.

- ✓ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის ღია, დამუშავებად ფორმატში მოპოვების შესაძლებლობა.

- ✓ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში Covid-19-თან დაკავშირებული დოკუმენტები CMR და SMP მოდულებში ხშირ შემთხვევაში არასისტემურადაა განთავსებული, რაც დამუშავებად ფორმატში არარსებული მონაცემების ფონზე, კიდევ უფრო ართულებს ამ კატეგორიის შესყიდვების მონიტორინგს.

- ✓ თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში საჯაროდ არ აქვეყნებენ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, მათ შორის Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების შემთხვევაშიც.

შესავალი

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დადასტურდა, 21 მარტს კი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომელიც 22 მაისამდე გაგრძელდა. აღნიშნულ პერიოდში, კორონა ვირუსთან დაკავშირებული შესყიდვები ძირითადად გამარტივებული წესით ხორციელდებოდა. საგანგებო მდგომარეობის ამოწურვის შემდგომაც, ძირითადი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა გამარტივებული წესით გაგრძელდა. მიმდინარე პერიოდში IDFI-იმ მოამზადა ორი კვლევა, რომელიც მიმოიხილავდა შესყიდვების მიმდინარეობის პროცესს, და გასცემდა შესაბამის რეკომენდაციებს.[1] აღნიშნულმა კვლევებმა მოიცვა 15 მაისამდე პერიოდი და მეტწილად, ორიენტირებული იყო მსხვილი შესყიდვების მიმწოდებლებისა და მათი კავშირების გამოაშკარავებაზე. წარმოდგენილი ანგარიშით კი შემოგთავაზებთ შეჯამებას, 21 მარტიდან 15 ნოემბრის მდგომარეობით ძირითად სტატისტიკურ მონაცემებსა და გამოკვეთილ სისტემურ პრობლემებს.

მონაცემები მოძიებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SPM (გამარტივებული შესყიდვის სააგენტოსთან შეთანხმების) მოდულიდან და ელექტრონული ტენდერის მოდულიდან. 15 მაისამდე პერიოდის მონაცემები ეყრდნობა IDFI-ის მიერ გამოქვეყნებულ, Covid-19-თან დაკავშირებული გასული ორი კვლევის ფარგლებში მოძიებულ მონაცემებს.

სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფა

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის #538 განკარგულების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დაევალა „კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში **განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში სათანადო პირობების შექმნასთან** დაკავშირებული სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა".

დამატებით, მთავრობის 2020 წლის 18 მარტის #554 განკარგულებით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციის #538 განკარგულების საფუძვლით განხორციელებულ შესყიდვებზე აღარ ვრცელდება გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #13 ბრძანების გარკვეული რეგულაციები. მათ შორის, ისეთი რეგულაციები, როგორებიცაა ხელშეკრულების წერილობით დადების ვალდებულება და მასში მისათითებელი აუცილებელი ინფორმაცია, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ღირებულებას 200,000 ლარს აღემატება,

1

ანგარიშსწორების პირობები და ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტით გაზრდის დაუშვებლობა.[2]

სასტუმრო

საკვლევ პერიოდში, 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, მხოლოდ სასტუმროს მომსახურების შესყიდვა კორონავირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით სხვა საჯარო უწყებებმაც განახორციელეს. ამ მომსახურების კოდით, რომლის საფუძველიც Covid-19-ის გამო დამდგარი გადაუდებელი აუცილებლობა იყო **ჯამურად, 84 მლნ 870 ათას ლარამდე ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა**, საიდანაც 86.4% (73,285,638 ლარი) მოდის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაზე.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მხოლოდ საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად სასტუმროების დაქირავებაში, 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, ჯამურად, **73 მილიონ 300 ათას ლარამდე** ღირებულების გამარტივებული ხელშეკრულება შეათანხმა შესყიდვების სააგენტოსთან.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სასტუმროს მომსახურების შესყიდვაზე IDFI-ის გასული თვეების კვლევებშიც წერდა, რომლის ფარგლებშიც ყველაზე პრობლემურ საკითხად ფასების ლიმიტების დადგენის დაგვიანება გამოიკვეთა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ 4 მაისს მიიღო დადგენილება, რომლითაც ცვლილებები შევიდა „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში. დოკუმენტის მე-4 მუხლის "ა)" პუნქტით განისაზღვრა, რომ საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯით, თუმცა **არაუმეტეს თითოეულ ბენეფიციარზე დღიური 100 ლარისა**. აღნიშნული ცვლილების მარტში მიღება სახელმწიფოს მისცემდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის დაზოგვის საშუალებას, რადგან IDFI-ის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიმიტების ამოქმედების შემდეგ, მხოლოდ ერთ სასტუმროში 120 ოთახის დაქირავება ერთი თვით ტურიზმის ადმინისტრაციას 1.1 მილიონი ლარით იაფი დაუჯდა, ვიდრე დადგენილების ამოქმედებამდე იმავე სასტუმროს იდენტური მომსახურება.[3]

ამასთან, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებში[4] მსხვილი კონტრაქტების მმართველი პარტიის შემომწირველ სასტუმროებთან გაფორმების ტენდენციაც გამოიკვეთა.

---

[2] მოცემული მუხლების შემთხვევაში განსხვავებული პირობების დადგენა ცალკეულ შესყიდვებზე დასაშვებია ამავე ბრძანების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტით.
[3] დეტალური ცხრილები იხილეთ IDFI-ის კვლევაში "Coivd-19-თან დაკავშირებულიგამარტივებული შესყიდვები - II ნაწილი", https://bit.ly/3nsI0O4;
[4] https://bit.ly/35vtkHD

სასტუმროს მომსახურების შესყიდვები Covid-19-ის მიზნობრიობით



როგორც ცხრილიდან ჩანს, სასტუმროს მომსახურების ერთ-ერთი შემსყიდველი საქართველოს თავდაცვის სამინისტროა. შესყიდვები გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომაა შეთანხმებული. დასაბუთების ველში მითითებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სამინისტრომ შეისყიდა სასტუმროს მომსახურება, რათა მოეხდინა ვირუსის გავრცელების პრევენცია. არც დასაბუთებაში და არც მიბმულ განკარგულებებში არ არის მითითებული, თუ რა სამიზნე ჯგუფის განთავსება უნდა მომხდარიყო აღნიშნულ სასტუმროებში და იყო თუ არა ეს შესყიდვები თავდაცვის ძალებზე გათვლილი. ამასთან, დასაბუთების დოკუმენტებში მითითებულია შესაბამისი გამარტივებული შესყიდვების CMR კოდები, რომლითაც გაფორმებული ხელშეკრულებები არ იძებნება. შესაბამისად, შეუძლებელია დავადგინოთ, რომელ სასტუმროსთან ითანამშრომლა სამინისტრომ, რამდენი ადამიანის განთავსება მოხდა და რამდენი ხნით. აღნიშნული 318,000 ლარის ღირებულების შესყიდვებიდან, ხელშეკრულება მხოლოდ ერთ შემთხვევაში იძებნება CMR მოდულში. სხვა შემთხვევებში, CMR კოდები მინიჭებულია და მითითებულია შესაბამის მოთხოვნებში, თუმცა CMR მოდულში ეს ხელშეკრულებები არ ჩანს.

ანალოგიური პრობლემა იკვეთება შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაშიც, რომელიც ასევე არ აქვეყნებს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს.

IDFI-მ მიმართა ორივე უწყებას და მოითხოვა კვლევის პროცესში იდენტიფიცირებული CMR კოდების შესაბამისი ხელშეკრულებების წარმოდგენა, ამასთან, არსებობის შემთხვევაში, სამართლებრივი აქტები, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულებები არ ქვეყნდება სისტემაში.

თავდაცვის სამინისტროსგან მიღებული პასუხის თანახმად, ყველა ხელშეკრულება ატვირთულია ელექტრონულ სისტემაში, სასტუმროების დაქირავება მოხდა საერთაშორისო წვრთნებსა და მისიებში მონაწილე პირებისათვის საკარანტინე ზონების მოსაწყობად. თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ხელშეკრულებები საჯაროდ არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი და გამოიყენა მათი "ჩაკეტვის" ფუნქცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა, რის გამოც IDFI-იმ სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, IDFI გეგმავს დავის სასმართლოში გაგრძელებას.

კვება

მნიშვნელოვანია, რომ გარდა სასტუმროს მომსახურებისა, ტურიზმის ადმინისტრაციას ასევე დაევალა სავალდებულო კარანტინში მყოფი პირების საკვებით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასტუმროებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობა მოიცავდა კვებასაც, შესაბამისად გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ადმინისტრაციას კვებისთვის არ დაუქირავებია ცალკე კომპანია. სწორედ ამიტომ, ჯამში მხოლოდ 135,800 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა კვების მომსახურების მისაღებად. 20 აგვისტოს ადმინისტრაციამ 30,000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმა შპს "ფარნავაზს", რომელსაც 25 სექტემბრამდე უნდა გაეწია კვების მომსახურება სხვადასხვა აეროპორტებსა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში. ამასთან, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო საკარანტინე სივრცეებში განთავსებული პირებისათვის კვების უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მზად ყოფნა. აღნიშნული კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელია გელოდი კობალაძე, რომელმაც 2016 და 2018 წლებში ქართულ ოცნებასა და სალომე ზურაბიშვილს 60-60 ათასი ლარი შესწირა.

დარჩენილი 105,800 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები კი შპს "ფუდ მენეჯმენტ გრუპთან" გაფორმდა. აქედან 50,000 ლარი გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებით. 20 ოქტომბერს ამავე კომპანიამ გაიმარჯვა ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერშიც, რომელიც ასევე Covid-19-ის პრევენციის მიზნით კვების მომსახურების შესყიდვას ეხება და ხელშეკრულების ღირებულება 55,800 ლარია. ამ ტენდერში მონაწილეობას შპს ფარნავაზიც იღებდა, თუმცა მაღალი ფასის გამო ვერ გაიმარჯვა.

ტრანსპორტირება

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, ამ მომსახურებაში მხოლოდ ტურიზმის ადმინისტრაციამ აპრილიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, ჯამში 2.9 მილიონ ლარაზე მეტი ღირებულების შესყიდვები განახორციელა. აქედან 10 ხელშეკრულება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული წესით გააფორმა, ჯამური 2.5 მლნ ლარის ღირებულებით. ათიდან ცხრა ხელშეკრულება შპს "ჯორჯიან ბასთან", ხოლო ერთი შპს "ომნესტურთან" გაფორმდა. ამ უკანასკნელის ხელშეკრულებაშიც შეცდომით, ჯორჯიან ბასის საიდენტიფიკაციო ნომერია მითითებული. ჯამური 2.5 მლნ ლარიდან, შპს "ომნესტურს" 208,456 ლარის შემოსავალს მიიღებს, ხოლო დანარჩენი 2.3 მილიონ ლარზე მეტი შპს "ჯორჯიან ბასის" შემოსავალია. საინტერესოა, რომ ტურიზმის ადმინისტრაციამ შპს "ომნესტურს" თავდაპირველად 170,000 ლარამდე ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმა. მოგვიანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, აღნიშნული თანხა 208,456 ლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვანია, რომ SMP მოდულში შეთანხმება განხორციელდა თავდაპირველ თანხაზე, ხოლო მისი გაზრდის შემდეგ ამ მოდულში ცვლილება არ შესულა და აისახა მხოლოდ CMR მოდულში ატვირთული შეთანხმების დოკუმენტის სახით, სადაც შესაბამის ველში არ არის მითითებული შესყიდვის შეთანხმების SMP კოდი.

ასეთი არასისტემური მიდგომა ართულებს რეალური დანახარჯების მონიტორინგს და ფაქტობრივად მოითხოვს ორ მოდულში თითოეული ხელშეკრულების გადამოწმებას, რადგან მხოლოდ CMR მოდულის მონიტორინგით ბუნდოვანი რჩება შესყიდვების მიზნობრიობა და დასაბუთება (მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა არ ხდება შეთანხმების კოდების მითითება), ხოლო მხოლოდ SPM მოდულის მონიტორინგისას შესაძლოა სააგენტოსთან შეთანხმებული ხელშეკრულების თანხები მოგვიანებით შეიცვალოს და ეს შესწორებები ვერ მოხვდეს მონიტორინგის სფეროში.

შპს "ჯორჯიან ბასმა" გაიმარჯვა ტურიზმის ადმინისტრაციის ელექტრონულ ტენდერში, რომლის ფარგლებშიც 25 სექტემბერს გაფორმდა 284 ათას ლარზე მეტი ღირებულების ხელშეკრულება, თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულების პირობები შეიცვალა და მომსახურების თანხა 304 ათას ლარამდე გაიზარდა.

ამასთან, "ჯორჯიან ბასთან" დადებული გამარტივებული შესყიდვის ბოლო ხელშეკრულება 10 ნოემბრით თარიღდება და მოიცავს მომსახურებას 31 დეკემბრის ჩათვლით. ამის პარალელურად, 16 ნოემბერს, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 580,000 ლარია და წინადადებების მიღება დეკემბრიდან იწყება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა 2021 წლისთვის ხორციელდება.

სამედიცინო მოწყობილობები

ტურიზმის ადმინისტრაციამ სამედიცინო მოწყობილობების შესაძენად ჯამში 1.5 მლნ ლარზე მეტის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა. აქედან მხოლოდ ერთი შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რომლის ფარგლებშიც შპს "პრიმაქს ჯორჯიასთან" 348,500 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა. მილიონ ლარზე მეტი კი გამარტივებული წესით დაიხარჯა. 210,00 ლარამდე ხელშეკრულებები მიიღო შპს "სადეზინფექციო სამსახური სანიტარმა", რომელიც 2020 წლის 2 მარტს არის რეგისტრირებული. 10,000 ლარზე მეტის ხელშეკრულება გაფორმდა შპს "Weekend"-თან, რომლის მფლობელი მმართველი პარტიის შემომწირველია და მისი სახელი და კავშირები მოხვდა IDFI-ის მიერ მომზადებულ Covid შესყიდვებთან დაკავშირებულ პირველ კვლევაშიც.

უსაფრთხოების დაცვა

აღნიშნული კომპონენტი ერთ-ერთი ის ვალდებულებაა, რომელიც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას სავალდებულო კარანტინის ფარგლებში დაევალა. ჯამურად, დაცვის მომსახურებაში 223,400 ლარი დაიხარჯა, საიდანაც 129,000 ლარზე მეტი ღირებულების გამარტივებული ხელშეკრულება შპს "ჯეო სექიურითისთან" დაიდო. აღნიშნული კომპანიის 73%-ანი წილის მფლობელი ლევან ცაბაძეა, რომელიც ქართული ოცნების წევრი და 2018 წლამდე ასპინძის გამგებელი იყო.



21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფისათვის საჭირო პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 78 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ნოემბერის განკარგულებით, ცვლილებები შევიდა 18 მარტის განკარგულებაში და **ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით გამოეყო 35 მილიონი ლარის რესურსი**, რომლითაც უნდა გაგრძელდეს კოვიდ სასტუმროების მობილიზება და ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა.

სამედიცინო პროდუქცია[5]

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ნოემბერს განკარგულებით, შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიას, რომლის 100% წილის მფლობელი სახელმწიფოა, დაევალა თხევადი ჟანგბადის წარმოებისათვის საჭირო აირგენერატორის და თანამდევი მომსახურებების შესყიდვა. ამავე განკარგულების თანახმად, შესყიდვა უნდა განხორციელდეს შპს-ს კაპიტალში მთავრობის 2016 წლის განკარგულების შესასრულებლად შეტანილი თანხის გაუხარჯავი ნაწილის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია ფლობს უძრავი ქონების აქტივებს, რომლებსაც ან იჯარით გასცემს, ან აუქციონის წესით ყიდის.

[5] აღნიშნულ თავში განხილული იქნება შემდეგი პროდუქტების/მომსახურების CPV კოდების შესაბამისი შესყიდვები: სამედიცინო მოწყობილობები, ფარმაცევტული პროდუქტები, პირადი ჰიგიენის საშუალებები, ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები;

ასევე, მისი მოვალეობაა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, კავშირგაბმულობის ზონების გაზრდის ხელშეწყობა. ამ შესყიდვის განხორციელების მიზნით, 14 ნოემბერს, ჯანდაცვის მინისტრმა, ეკატერინე ტიკარაძემ წერილით მიმართა ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას და აღნიშნა:

„დღეისათვის **უკვე მობილიზებულია 6,000 საწოლზე მეტი და თვის ბოლომდე კიდევ იგეგმება 2,400 საწოლის დამატება** ... კორონავირუსის პანდემიის მასშტაბების ზრდის ფონზე, ქვეყანაში სამედიცინო ჟანგბადის დეფიციტის თავიდან აცილებისა და სახელმწიფო და კერძო მფლობელობაში მყოფი კლინიკების ჟანგბადით უწყვეტად მომარაგების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, გთხოვთ დახმარებას სამედიცინო ჟანგბადის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიებასა და შეძენასთან დაკავშირებით".

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030103173995320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14413 **14 / ნოემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრს
ქალბატონ ნათია თურნავას

ქალბატონო ნათია,

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID - 19) შესაძლო შემთხვევების მასშტაბური გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიიდან მაქსიმალურად მცირე დაზიანებით გამოსვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID - 19) შემთხვევების სწრაფი ზრდის პარალელურად, იზრდება COVID-19-ის მართვისთვის მობილიზებული საწოლფონდის რაოდენობა. დღეისათვის უკვე მობილიზებულია 6000 საწოლზე მეტი და თვის ბოლოდე კიდევ იგეგმება 2400 საწოლის დამატება. აღსანიშნავია, რომ COVID–19-ით ინფიცირებულ პაციენტთა მკურნალობის პროცესში აქტიურად გამოიყენება სამედიცინო ჟანგბადი. საწოლფონდისა და პაციენტთა ნაკადის მატების პარალელურად, საავადმყოფოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელოვნური სუნთქვის აპარატებისა და ჟანგბადის პორტების რაოდენობა, რამაც თითქმის ხუთჯერ და მეტად გაზარდა ქვეყანაში სამედიცინო ჟანგბადის მოხმარება (დანართის სახით გიგზავნით ჟანგბადის მოხმარების სტატისტიკას სამედიცინო დაწესებულებების მიხედვით).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საავადმყოფო საკუთარი ძალებით ახდენს ჟანგბადის წარმოებას, თუმცა საავადმყოფოთა უმეტესობას უხდება სამედიცინო ჟანგბადის შეძენა. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით ბოლო პერიოდში აღინიშნება პროდუქციის მომარაგებაში არსებული შეფერხებები, რაც ჟანგბადდამოკიდებული მძიმე და კრიტიკული პაციენტებისთვის შეიძლება სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასი აღმოჩნდეს.

კორონავირუსის პანდემიის მასშტაბების ზრდის ფონზე, ქვეყანაში სამედიცინო ჟანგბადის დეფიციტის თავიდან აცილებისა და სახელმწიფო და კერძო მფლობელობაში მყოფი კლინიკების ჟანგბადით უწვეტად მომარაგების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, გთხოვთ დახმარებას სამედიცინო ჟანგბადის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიებასა და შეძენასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მინისტრი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ეკატერინე ტიკარაძე

17 ნოემბერს სახელმწიფო კომპანიამ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა თურქულ კომპანიასთან İDEAL MAKİNA-სთან, რომელიც 672,404 ევროდ (შემსყიდველი ვარაუდობს დაახლოებით 3.2 მლნ ლარს) მიაწვდის შესაბამის პროდუქციას.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს აქტივების მართვისა და განვითარების სააგენტო უძრავი ქონების სფეროზეა ორიენტირებული, ჟანგბადის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიების შესყიდვა არ უნდა წარმოადგენდეს ამ ორგანიზაციის პრეროგატივას. მიუხედავად ამისა, მთავრობის მიერ სწორედ ამ ორგანიზაციის შერჩევა შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზების გარეშე, ამავე შპს კაპიტალში არსებული თანხის გაუხარჯავი ნაწილით მომხდარიყო საჭირო პროდუქტის შესყიდვა.

"საწოლფონდის" მობილიზება

კლინიკებში დამატებითი საწოლების მობილიზების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოსგან, ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, ჯამში **98.5 მილიონი ლარის** ღირებულების ხელშეკრულების შეთანხმება მოითხოვა. ბოლო მოთხოვნა სააგენტომ 2 ოქტომბერს წარმოადგინა, ჯამური ღირებულების 48 მლნ ლარი. დოკუმენტაციის მიხედვით, ამ მოთხოვნის საფუძველზე საწოლების მობილიზება უნდა მოხდეს 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოთხოვნის ფარგლებში წარმოდგენილი ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი წოწკოლაურის პირველი ოქტომბრის წერილის მიხედვით, *„საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის დღეის მდგომარეობით განსაზღვრული დაწესებულებების სრულად მობილიზაციის შემთხვევაში, საწოლების სავარაუდო რაოდენობა შეადგენს 5,000-ს".*

მხოლოდ ნოემბრის თვეში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, თავისუფალი საწოლების ჯამური ღირებულება 23.5 მილიონ ლარამდეა. ხელშეკრულებებში, როგორც წესი, ჯამური სავარაუდო თანხებია მითითებული, თითო საწოლის დღიური ფასი 100-120 ლარს შორის მერყეობს. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იგივე კლინიკაში სექტემბერში 1 საწოლის ფასი 100 ლარია, ხოლო ოქტომბრიდან წლის ბოლომდე პერიოდში უკვე 120 ლარამდე იზრდება.

კლინიკების ჩამონათვალი, რომლებთანაც ხელშეკრულებები 2020 წლის ნოემბერში გაფორმდა (თუმცა, ზოგი სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდსაც მოიცავს), მათ მიერ გამოყოფილი საწოლების რაოდენობა და ფასები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

კლინიკა	ჯამური თანხა	საწოლის ფასი დღიურად	მომსახურების ვადები	საწოლების რაოდენობა
შპს მედალფა (404908043)	715,900.00	100	12.09.20-16.09.20	55
			16.09.20-24.09.20	63
			24.09.20-01.01.21	65
შპს ვივამედი (404879663)	1,459,200.00	120	17.10.20-01.01.21	165
შპს ქართულ - ჰოლანდიური ჰოსპიტალი (402049760)	301,200.00	100	21.10.20-22.10.20	30
			22.10.20-01.01.21	42
სს ჯერარსი (205279740)	777,360.00	120	14.10.20-01.01.21	82
შპს Mმედი22 (200006536)	442,400.00	100	14.10.20-01.01.21	56
შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო (203826645)	840,000.00	120	23.10.20-01.01.21	100
შპს №5 კლინიკური საავადმყოფო (200010674)	189,000.00	100	23.10.20-01.01.21	27
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	2,751,840.00	120	15.10.20-01.01.21	294
შპს გორმედი (417876711)	417,200.00	100	22.10.20-30.10.20	49
			30.10.20-01.01.21	60
შპს გორმედი (417876711)	732,720.00	120	22.10.20-01.01.21	86
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	1,470,000.00	120	23.10.20-01.01.21	175
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	1,418,520.00	100	13.09.20-05.10.20	51
			05.10.20-24.10.20	60
		120	24.10.20-01.01.21	144
შპს ჰოსპიტალ სერვისი (400027163)	1,029,400.00	100	23.10.20-24.10.20	40
		120	24.10.20-26.10.20	85
			26.10.20-01.01.21	125
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი (236035517)	116,800.00	100	20.10.20-01.01.21	16
შპს ახალციხის კლინიკა იმედი (424067306)	420,000.00	100	23.10.20-01.01.21	60
შპს არქიმედეს კლინიკა (404869567)	201,000.00	100	26.10.20-01.01.21	30
შპს უნიქალმედი (412714870)	93,600.00	100	15.10.20-01.01.21	12
შპს კლინიკა რუსთავი (416289947)	394,200.00	100	20.10.20-01.01.21	54
შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა (245599758)	124,000.00	100	09.10.20-22.10.20	8
			22.10.20-01.01.21	16
შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი (412719651)	297,000.00	100	27.10.20-01.01.21	45
შპს კლინიკა ბომონდი (412729720)	1,618,600.00	100	13.09.20-14.09.20	16

		120	14.09.20-17.09.20	100
			17.09.20-22.09.20	110
			22.09.20-01.01.21	125
შპს ფერომედი (230070099)	146,000.00	100	20.10.20-01.01.21	20
პს სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი (245418392)	244,000.00	100	01.11.20-01.01.21	40
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	244,000.00	100	01.11.20-01.01.21	40
სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი (446955484)	465,000.00	100	13.09.20-22.09.20	50
			22.09.20-01.12.20	60
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	427,000.00	100	01.11.20-01.01.21	70
სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი (202172139)	122,000.00	100	01.11.20-01.01.21	20
დოსტაქარი (239403203)	128,100.00	100	01.11.20-01.01.21	21
შპს ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო-წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი (212685414)	395,400.00	100	19.09.20-26.09.20	18
			26.09.20-01.12.20	58
შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი (236035517)	805,200.00	120	01.11.20-01.01.21	110
შპს მედ ემერჯენსი (445506630)	362`200.00	100	14.09.20-16.09.20	19
			16.09.20-24.09.20	23
			24.09.20-01.12.20	50
შპს ქობულეთის ცენტრალური საავადმყოფო - ბომონდი (412752276)	183,000.00	100	01.11.20-01.01.21	30
შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური (406055879)	1,464,000.00	120	01.11.20-01.01.21	200
სს გერმანული ჰოსპიტალი (402101328)	152,500.00	100	01.11.20-01.01.21	25
შპს პირველი სამედიცინო ცენტრი (200007143)	629,520.00	120	01.11.20-01.01.21	86
შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო (202901832)	1,434,720.00	120	01.11.20-01.01.21	196
სს ევექსის ჰოსპიტლები (404476205)	607,560.00	120	01.11.20-01.01.21	83
ჯამი:	**23,257,940.00**			

საქართველოს მთავრობის #176 დადგენილებით, საკარანტინე/საველე სივრცეებში სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფა დაევალა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, რომელიც 2020 წლის თებერვალში ეკატერინე ტიკარაძის ინიციატივით, „მენეჯმენტისა ეფექტურობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით" შეიქმნა. ჰოლდინგის ხელმძღვანელად „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ყოფილი დირექტორი გიორგი ჩოგოვაძე დაინიშნა. ჩოგოვაძის მიერ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის 30 სექტემბრის მიმართვის საფუძველზე 24 საათში პერსონალის ანაზღაურება შემდეგნაირად განისაზღვრა:

პერსონალი	ანაზღაურება
ექიმი	162.5
ექიმი საველე ჰოსპიტალში	212.5
ექთანი	100

აღნიშნული მომსახურების შესყიდვის შემდეგ, შეთანხმების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 13 ოქტომბერს მიმართა. ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ **625,537 ლარი შეადგინა**. წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული თანხა მოიცავდა 75 ექიმის/ექთნის მომსახურებას 24 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. თუმცა, ამ მოთხოვნის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები ივლისი-სექტემბრით თარიღდება.

CMR მოდულში კი გვხვდება იმავე მომსახურებაზე ნოემბერში გაფორმებული ხელშეკრულებებიც, რომელთა ჯამური ღირებულება **300,000 ლარამდე აღწევს.**

დასკვნა

გაანალიზებული მონაცემებით ჩანს, რომ თანხების უდიდესი ნაწილი იხარჯება კოვიდსასტუმროებისა და კლინიკების მობილიზებაზე. ამ მიზნობრიობით შესყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება გამარტივებული წესით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ Covid-19-თან დაკავშირებული ზოგიერთი მომსახურების შესყიდვა ნაწილობრივ უბრუნდება ელექტრონული ტენდერის ფორმატს, რაც მისასალმებელია, თუმცა ასეთი შემთხვევები არ არის ბევრი. ვთვლით, რომ ისეთი მომსახურების შესყიდვები, რომელიც უკვე აპრობირებულია და მათი საჭიროების შესახებ წინასწარი ცოდნა არსებობს, შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რათა მოხდეს მეტი კონკურენციის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ შესყიდვების მონიტორინგი დაკავშირებულია ბევრ ტექნიკურ პრობლემასთან. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების არ არსებობა ღია, დამუშავებად ფორმატში. Covid-19-თან დაკავშირებული

შესყიდვების მხრივ კი ცალკე მოდულის/საფუძვლის არარსებობა იწვევს ასეთი შესყიდვების სისტემაში გაფანტვას, რომელთა შეგროვება და კოვიდ-შესყიდვად იდენტიფიცირება, ხშირ შემთხვევაში რთულია. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ზოგიერთი უწყების მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები საჯაროდ ხელმიუწვდომელია.

რეკომენდაციები

- შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ღია, დამუშავებად ფორმატში განთავსება.
- შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების ცალკე საფუძვლად გამოყოფა ან მსგავსი შესყიდვების შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება.
- შესყიდვების სააგენტომ გააკონტროლოს გადაუდებელი აუცილებლობით მოთხოვნილი გამარტივებული შესყიდვების CMR მოდულში განთავსებისას შესაბამისი SMP კოდების მითითება შემსყიდველის მიერ.
- თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უზრუნველყონ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების, კანონის შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნება. შესყიდვების სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი კონტროლი და ზედამხედველობა, რათა ასეთი შემთხვევები დროულად აღმოიფხვრას და არ დარჩეს ყურადღების მიღმა. ამასთან, შემოწმდეს ხელშეკრულების დაფარვის მიზანშეწონილობა.
- შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალურად შეამცირონ გამარტივებული შესყიდვების გამოყენება ისეთი მომსახურებისა და პროდუქტების შესყიდვისას, რომელთა საჭიროება წინასწარ ცნობილია და შესაძლებელია მათი დაგეგმვა და კონკურენტული პირობებით ჩატარება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

2020